ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1908588

ნომერი: AR1311485

თარიღი : 19.05.2015

გაცემის თარიღი : 22.05.2015

გაცნობის თარიღი : 25.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლის , მე-13 კილომეტრი , (ნაკვ.14/579) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე აბრამია პ/ნ 01019023569
- თამარაშვილის 13, ბ.93

ორგანიზაცია:
- შპს გრინპაკი კოდი: 405059573

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 19 მაისის AR1311485 განცხადების პასუხად რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.72.14.014.579 მიწის ნაკვეთზე ოფისი (დამხმარე სასაწყობო მეურნეობით) შენობა–ნაგებობის ასაშენებლად უკვე გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გადაწყვეტილება #1618232) ცვლილების შეტანა კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციის დასახელებაში - ოფისის (დამხმარე სასაწყობო მეურნეობით) ნაცვლად საწარმო შენობა–ნაგებობის დაფიქსირებას გაცნობებთ სემდგეს:

აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობდა საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2–ში, რომლის ფუნქციური დანიშნულების ჩამონათვის საფუძველზე მომზადდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საოფისე შენობა–ნაგებობაზე და დამხმარე სასაწყობო მეურნეობაზე, ამის შემდგომ AR1288026 განცხადების საფუძველზე საკითხი ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ განხილული იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 26 თებერვლის #9 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე–13 კილომეტრზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.014.579), ფუნქციური ზონის– საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ის, სამრეწველო ზონა 1–ით ცვლილებას მიეცა თანხმობა, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, სადაც საკითხმა მიიღო ასევე დადებითი შეფასება ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.

რადგან დღევანდელი მდგომარეობით აღნშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–ში შესაძლებელია მითითებულ მიწის ნაკვეთზე საწარმო შენობა–ნაგებობის განთავსება, თუმცა აღნიშნულის განხორციელებამდე თქვენ უნდა მოითხოვოთ ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გადაწყვეტილება #1618232) და შეთანხმებული პროექტის გაუქმება (www.tas.ge -ზე > ელექტრონული განცხადებები > სამართლებრივი საკითხები > ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება), და ამის შემდგომ მოითხოვოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენბოდ გამოყენების პირობები (Tas.ge–ზე > ელექტრონული განაცხადები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება (შესაძლებელია ნომენკლატურის ცვლილებითაც) საწარმოო შენობა ნაგებობის ასაშენებლად და დამატებით დააფიქსიროთ თუ რა იგულისხმება საწარმოში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.